ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №4

ქ. თბილისი 26 იანვარი, 2012 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქართლოს ყიფიანი	საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე
გიორგი კერვალიშვილი	საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი
დავით გიორგაძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი
ტარიელ ხიზანეიშვილი	ქალაქ თბილისის მერის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი
გიორგი კოტრიკაძე	ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა და რეალიზატორთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა: **ტატო ურჯუმელაშვილი** – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:
დავით კაშია – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იურისტი.

დღის წესრიგი:
ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებულ ტენდერში (CON-12001) ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ წარდგენილი შეცვლილი სატენდერო წინადადების გაუმჯობესებულ სატენდერო წინადადებად მიჩნევის საკითხის განხილვა.

განხილვა:
სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ქ. ყიფიანმა სატენდერო კომისიას გააცნო ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერში (CON-12001) ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ წარდგენილი შეცვლილი სატენდერო წინადადება. ცვლილება ითვალისწინებს ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ საწვავის ადგილზე მიწოდების

შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით ელექტრონული ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის დადასტურებას მხარეების მიერ.

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ წარდგენილ შეცვლილ სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

კომისიამ დაადგინა:

1. ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებულ ტენდერში (CON-12001) ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ წარდგენილი შეცვლილი სატენდერო წინადადება მიჩნეულ იქნას გაუმჯობესებულ სატენდერო წინადადებად.

2. დამტკიცებულ იქნას ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქციის (საწვავის) მიწოდების ძირითადი პირობების ცვლილება.

3. დაევალოს სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქციის (საწვავის) მიწოდების შეცვლილი ძირითადი პირობებისა და ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) სატენდერო კომისიის წინამდებარე ოქმის გამოქვეყნება ამავე სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე არაუგვიანეს 2012 წლის 27 იანვრისა.

სატენდერო კომისიის
თავმჯდომარე: ქართლოს ყიფიანი

სატენდერო კომისიის წევრები: გიორგი კერვალიშვილი

დავით გიორგაძე

ტარიელ ხიზანეიშვილი

გიორგი კოტრიკაძე

სხდომის მდივანი: დავით კაშია

დანართი №1
საწვავის მიწოდების ძირითადი პირობები

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ (შემდგომში – მიმწოდებელი) მზადაა გააფორმოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შემდეგი ძირითადი პირობების გათვალისწინებით:

- საწვავის მიწოდება შესაძლოა განხორციელდეს:
  - პლასტიკური ბარათების სისტემით (რა დროსაც საწვავის ფასში არ არის გათვალისწინებული პლასტიკური ბარათის დამზადების ღირებულება, და რაც შეადგენს 15 (თხუთმეტი) ლარს დ.დ.გ.ს ჩათვლით. პლასტიკური ბარათების მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება მოხდება დამატებით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე);
  - სატალონი სისტემით (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით);
  - ადგილზე მიწოდებით (გადაზიდვით) – გადაზიდვის შემთხვევაში ერთჯერადად მოთხოვნილი/მისაწოდებელი თითოეული ტიპის საწვავის რაოდენობა, უნდა იყოს არანაკლებ 2000 (ორი ათასი) ლიტრისა უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, და ასევე მიწოდება მოხდება მხოლოდ იმ ადგილას (ქალაქში) სადაც ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გააჩნია ავტო-გასამართი სადგური.

- საწვავის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, თითოეულ ეტაპზე დასაშვებია არა უმეტეს 2 თვის მოხმარების საწვავის გატანა.

- საწვავის ღირებულების გადახდის ფორმები, პირობები და ვადები განისაზღვრება შემსყიდველთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის (გამარტივებული) ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, საწვავის შემდგომი გადახდის პირობით მიწოდების შემთხვევაში, საწვავის ღირებულების გადახდის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს შემსყიდველის მიერ შესაბამისი ელექტრონული ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის („ენსაფ“-ის) ელექტრონულად დადასტურების დღიდან.

სავალდებულო სახელშეკრულებო პირობები

- ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის მისაწოდებელი საწვავის ერთეულის ფასი ყოველ ეტაპზე განისაზღვრება საწვავის მოთხოვნის (აღნიშნული მოთხოვნის მიმწოდებლის მიერ მიღების) დღისათვის (გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემსყიდველი მოთხოვნაში უთითებს კონკრეტულ თარიღს, როცა უნდა მოხდეს საწვავის მიწოდება, რა დროსაც ფასების გამოანგარიშება მოხდება შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი მიწოდების თარიღისათვის) მიმწოდებლის საცალო სარეალიზაციო ქსელში არსებული შესაბამისი მარკის საწვავის ერთეულის ფასისათვის მიმწოდებლის მიერ კონსოლიდირებულ ტენდერზე (CON-1200) დაფიქსირებული (ან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის №25 ბრძანების მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებული) დისკაუნტის გამოკლებით. მისაწოდებელი საწვავის ფასში გათვალისწინებული იქნება საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევი ხარჯი, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯები ავტოგასამართი სადგურებიდან ძის

გაცემამდე. ხოლო საწვავის ადგილზე მიწოდების შემთხვევაში, საწვავის ფასში გათვალისწინებული იქნება საწვავის ტრანსპორტირების ღირებულება.

- ❖ ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილი იქნება დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას. საწვავის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილი იქნება დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საწვავის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

- ❖ მიმწოდებელი უფლებამოსილი იქნება დროებით (არაუმეტეს 1.5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

- ❖ **სატალონო სისტემით საწვავის მიწოდება მოხდება შემდეგი წესით:** საწვავის მოთხოვნის მიღებისას *(წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში – შემსყიდველის მიერ შესაძენი საწვავის ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ)*, მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ") მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავზე. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ"-ის დადასტურება, მისი გამოწერის დღესვე. „ენსაფ"-ის დადასტურების შემდეგ შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცემა მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავის ტალონები. მხარეები ადიარებენ, რომ შემსყიდველის მიერ „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან „ენსაფ"-ით გათვალისწინებული საწვავი ითვლება შემსყიდველის მიერ შეძენილად და შემსყიდველს არა აქვს უფლება სადავო გახადოს ამ საწვავის შეძენის ფაქტი, აგრეთვე ზემოთხსენებულ „ენსაფ"-ში დაფიქსირებული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ფასი და სხვა არსებითი პირობები. ამასთან, შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირს ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.
ზემოაღნიშნული პროცედურის დაცვით, მიმწოდებელი დაამზადებს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს შემსყიდველს (სპეციალური მინდობილობით აღჭურვილ პირს) შეძენილი საწვავის ტალონებს ლიტრობრივ ერთეულებში (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით). ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე. ამასთან, ეკვე

გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს:

- მიმწოდებლის ლოგო წარწერით „ელსოლი";
- ტალონის ნომერი;
- საწვავის სახეობა;
- საწვავის რაოდენობა.

შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) საათის გასვლის შემდეგ. ტალონების დაკარგვის შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი ეონივრულ ვადაში სამუშაო საათებში აცნობებს მიმწოდებელს დაკარგვის შესახებ წერილობით და მიუთითებს დაკარგული ტალონების ნომრებს, მიმწოდებელი უზრუნველყოფს აღნიშნული ტალონების დაბლოკვას, მათი შემდგომი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების ან/და საწვავის გაცემა. დაკარგული ტალონების პოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონების აღდგენას (ბლოკირების მოხსნას).

მიმწოდებელი ვალდებულია ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული საწვავის ხარისხითა და რაოდენობით.

საწვავის გაცემა ხდება ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.

ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

❖ **პლასტიკური ბარათების მეშვეობით** საწვავის შეძენისას, შემსყიდველის შეკვეთის საფუძველზე *(წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში – შემსყიდველის მიერ შესაძენი საწვავის ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ)* მიმწოდებელი გამოუწვრს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ"). შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ"-ის დადასტურება მისი გამოწერის დღესვე. „ენსაფ"-ის დადასტურებისთანავე შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავი ჩაირიცხება (გააქტიურდება) შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე, რომელსაც მიმწოდებელი თავის ვებ-გვერდზე გაუხსნის შემსყიდველს, პლასტიკურ ბარათებზე საწვავის შემდგომი განაწილების მიზნით. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. მხარეები აღიარებენ, რომ შემსყიდველის მიერ „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებისთანავე „ენსაფ"-ით გათვალისწინებული საწვავი ითვლება შემსყიდველის მიერ შეძენილად და შემსყიდველს არა აქვს უფლება სადავო გახადოს ამ საწვავის შეძენის ფაქტი, აგრეთვე ზემოთხსენებულ „ენსაფ"-ში დაფიქსირებული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ფასი და სხვა არსებითი პირობები. ამასთან, შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი

„ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.

სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვის შემდეგ შემსყიდველს უფლება აქვს ანგარიშზე არსებული ნაშთის ფარგლებში შეუზღუდავად, თავისი შეხედულებისამებრ, მოახდინოს აღნიშნული საწვავის გადანაწილება მის კუთვნილ ერთ ან რამოდენიმე პლასტიკურ ბარათზე ინტერნეტით, მიმწოდებლის ვებ-გვერდის საშუალებით, შემსყიდველის საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის გამოყენებით.

სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვის შემდეგ საწვავი არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავზე გადაცვლას, ხოლო პლასტიკური ბარათის/ბარათების დაკარგვასთან, დაზიანებასთან ან განადგურებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკი გადადის შემსყიდველზე.

შემსყიდველის პირველად საიდენტიფიკაციო სახელსა და პაროლს მიმწოდებელი მიღება-ჩაბარების აქტით დალუქული კონვერტით გადასცემს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს და ამავდროულად ეტარებს შესაბამის ინსტრუქტაჟს საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შეცვლისა და გამოყენების წესების შესახებ. შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშის პირველ გამოყენებამდე და პლასტიკურ ბარათებზე საწვავის გადატანამდე შეცვალოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული პაროლი და შემდგომში გამოიყენოს მხოლოდ მის მიერ შექმნილი ახალი პაროლი. პირველადი საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შემსყიდველის წარმომადგენლისათვის გადაცემისთანავე ყოველგვარი პასუხისმგებლობა და რისკი საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის არასანქციონირებულ გამოყენებაზე, ელექტრონული ანგარიშიდან პლასტიკურ ბარათებზე საწვავის უნებართვო გადატვირთვაზე და სხვა მსგავს შემთხვევებზე, აგრეთვე ამით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებზე, გადადის შემსყიდველზე.

საწვავის გაცემა მოხდება პლასტიკური ბარათის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია პლასტიკურ ბარათზე კონკრეტული ავტომანქანის სახელმწიფო ნომრის და სერიის გამოსახვა. ასეთი ბარათის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისას, საწვავის ჩასხმა მოხდება მხოლოდ ბარათზე აღნიშნული სახელმწიფო ნომრის და სერიის მქონე ავტომანქანის ავზში, ხოლო ნებისმიერი სახის დამატებით ტევადობებში (ჭურჭელში) ან სხვა ავტომანქანის ავზში საწვავის ჩასხმა არ განხორციელდება.

პლასტიკური ბარათი აღასტურებს მისი წარმომდგენის უფლებას ავტოგასამართ სადგურზე მიიღოს ბარათზე ჩატვირთული შესაბამისი საწვავი. პლასტიკური ბარათის დაკარგვის ან/და დაზიანების შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ამის შესახებ მიმწოდებელს, რათა მოხდეს ამ ბარათის ბლოკირება. ამასთანავე, ბლოკირებამდე ბარათების გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე ყველანაირი პასუხისმგებლობა და რისკები ეკისრება მხოლოდ შემსყიდველს.

შემსყიდველი ვალდებულია პლასტიკური ბარათი შეინახოს მზისგან, ელექტრული და მაგნიტური ველებისაგან (მობილური ტელეფონი, ტრანსფორმატორი, ტელევიზორი და სხვ.) დაცულ ადგილას, ასევე არ მოახდინოს პლასტიკური ბარათის გაღუნვა. მიმწოდებელი არ არის

პასუხისმგებელი ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბარათის დაზიანებაზე. პლასტიკური ბარათის ფიზიკური დაზიანების ან/და დაკარგვის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს შეიძინოს ახალი ბარათი და ითხოვოს მასზე ბლოკირების შემდეგ არსებული ნაშთების გადატანა. პლასტიკური ბარათის პროგრამულად დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელი უსასყიდლოდ დაუმზადებს შემსყიდველს ახალ პლასტიკურ ბარათს.

- საწვავის ადგილზე მიწოდების შემთხვევაში, საწვავის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას ტრანსპორტირების გზით. საწვავის ყოველი მიწოდების შესახებ შემსყიდველი წინასწარ (არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე) აცნობებს მიმწოდებელს და მუთითებს მისაწოდებელი საწვავის სახეობასა და რაოდენობას, აგრეთვე საწვავის მიწოდების ადგილს. საწვავის მოთხოვნის მიღების შემდეგ *(წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში – შემსყიდველის მიერ შესაძენი საწვავის ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ)*, მიმწოდებელი ზემოთხსენებული ვადის ფარგლებში გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ“) მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავზე, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ“-ის დადასტურება, მისი გამოწერის დღესვე. რის შემდეგაც განხორციელდება საწვავის ადგილზე ტრანსპორტირება და შემსყიდველისათვის მიწოდება/გადაცემა. საწვავის მიწოდებისას/გადაცემისას მხარეთა მიერ მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება. მხარეები აღიარებენ, რომ შემსყიდველის მიერ „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან „ენსაფ“-ით გათვალისწინებული საწვავი ითვლება შემსყიდველის მიერ შეძენილად და შემსყიდველს არა აქვს უფლება სადავო გახადოს ამ საწვავის შეძენის ფაქტი, აგრეთვე ზემოთხსენებულ „ენსაფ“-ში დაფიქსირებული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ფასი და სხვა არსებითი პირობები. ამასთან, შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსახღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურებას.

- მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:
  - **საწვავის პლასტიკური ბარათებით მიწოდების შემთხვევაში:** შემსყიდველის შეკვეთის მიღებიდან *(წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში – შემსყიდველის მიერ შესაძენი საწვავის ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ)* არა უმეტეს ორი სამუშაო დღის განმავლობაში გამოუწეროს მას „ენსაფ“-ი მოთხოვნილ საწვავზე, ხოლო „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურებისთანავე ნაურიცხოს შემსყიდველს სპეციალურ ანგარიშზე შეძენილი საწვავი;
  - **საწვავის ტალონური სისტემით მიწოდების შემთხვევაში:** შემსყიდველის შეკვეთის მიღებიდან *(წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში –*

შემსყიდველის მიერ შესაძენი საწვავის დირებულების სრულად გადახდის შემდეგ) არა უმეტეს ორი სამუშაო დღის განმავლობაში გამოუწეროს მას „ენსაფ“-ი მოთხოვნილ საწვავზე, ხოლო „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურებისთანავე მოამზადოს შესაბამისი რაოდენობისა და სახეობის საწვავის ტალონები შემსყიდველზე გადასაცემად.

- **საწვავის ადგილზე მიწოდების შემთხვევაში:** შემსყიდველის შეკვეთის მიღებიდან *(წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში – შემსყიდველის მიერ შესაძენი საწვავის დირებულების სრულად გადახდის შემდეგ)* არა უმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში გამოუწეროს მას „ენსაფ“-ი მოთხოვნილ საწვავზე და უზრუნველყოს ამ საწვავის ადგილზე მიწოდება (იმ პირობით, რომ შემსყიდველის მიერ „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურება მოხდება მისი გამოწერის დღესვე).

❖ შემსყიდველმა კანონით დადგენილი ფორმის დაცვით უნდა აცნობოს მიმწოდებელს იმ პირ(ებ)ის ვინაობა, ვინც უფლებამოსილი იქნება გააკეთოს შეკვეთა, ჩაიბაროს ტალონები, ან ადგილზე მიიღოს საწვავი და მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას შემსყიდველის სახელით.

❖ ფორს-მაჟორი

მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასარულების შემდეგ.

თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ

❖ დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად